იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოეთის საქართველო


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 13 (150)

ივლისი

1966 წელი



თბილისი, სანაპირო, ზაფხული.



ცნობილი ქართველი მეფოლადე, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გრიგოლ სებისკვერაძე.

სიცოცხლის სახელით

იშვიათად, მაგრამ იბადებიან ბავშვები ღია არტერიული სადინარით, რომელიც აორტას აერთებს ფილტვის არტერიასთან. მათ დარღვეული აქვთ სისხლის მიმოქცევა და სიცოცხლისათვის ბევრი დიდმნიშვნელოვანი ორგანოს მოქმედება. ასეთი ავადმყოფები, თუ მათ ოპერაციას არ გავუკეთებთ, მეტწილად ცოცხლობენ 15-20 წლამდე, შემდეგ კი იღუპებიან.

ქირურგი სადინარს გადასკვნის ჩვეულებრივი აბრეშუმის ლიგატურებით, აკურატულად გაანაწილებს აორტასა და არტერიას, ბუნებრივი ადგილების მიხედვით. ოპერაციის შემდეგ გული უფრო თავისუფლად, ხოლო ფილტვები მთელი ძალით მუშაობენ, სისხლის მიმოქცევა ნორმალური ხდება და ავადმყოფი კარგად გრძნობს თავს.

ამას წინათ ქალაქის პირველ საავადმყოფოში პროფესორ ნ. ანთელავას კლინიკაში გაკეთდა მესამე ასეთი ოპერაცია. სამივე ოპერაცია გაკეთა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ე. ი. ფიფიამ. უკანასკნელი, ყველაზე ეფექტიანი იყო, ვინაიდან ოპერაციას უკეთებდნენ ჯერჯერობით ყველაზე პატარა 6 წლის პაციენტს.

ისევე როგორც გულის სხვა ოპერაციები, ეს ოპერაციაც განსაკუთრებულ სიფრთხილესა და იუველირულ სიზუსტეს მოითხოვს. ქირურგს ვერავითარი ვირტუოზული ოსტატობა ვერ უშველის, თუ არ გამოიყენა თანამედროვე მედიცინის მეთოდები და სპეციალური ხელსაწყოები, რომლებიც აკონტროლებენ გულის მუშაობას, სუნთქვას, სისხლის წნევას.

პროფესორ ანთელავას კლინიკაში ეს ხელსაწყოები არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მოიტანეს. მაშინ დაიწყეს უკვე გულისხიდა ოპერაციების გაკეთება.

მეტად საჭირო სტენოზის დროს სისხლი შევიწროებული სარქველის ნახვრეტიდან საკმაო რაოდენობით ვერ გამოდის, ირღვევა რიტმი. ახლა კლინიკაში აკეთებენ ოპერაციებს სარქველის გასაფართოებლად. უკვე 20 ასეთი ოპერაციაა გაკეთებული.

თანამედროვე მეცნიერება ამტკიცებს, რომ შეძენილი მანკის დროს ზოგიერთი მძიმე მოვლენის მკურნალობა შეიძლება უდანოდ, მაღალი ძაბვის დენით, ეს ეგრეთწოდებული ელექტრო-იმპულსური მკურნალობაა.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ავადმყოფთა უმრავლესობა, რომლებსაც თანდაყოლილი და შეძენილი გულის მანკი ჰქონდათ, განწირულებად ითვლებოდნენ, ახლა მათ სიცოცხლეს უბრძოლველად არ თმობენ. პროფესორ ანთელავას კლინიკაში გაკეთებული ოპერაციები ამის ბრწყინვალე დადასტურებაა.

საჰაერო კარი

ჟუმაისი. ქუთაისის აეროპორტი ერთერთი უძველესია საქართველოში. ამ აეროპორტის ვეტერანებს, რომლებიც აქ 25 წელზე მეტია მუშაობენ, — ცვლის ინჟინერს ს. ჩოგოვაძეს, ავიატექნიკოს გ. შენგელაიას, ინჟინერ-სინოპტიკოს პ. პერტაიასა და სხვებს — ახსოვთ ის დრო, როცა დღეში აქედან სულ ოცი-ოცდაათი მგზავრი გადაჰყავდათ. ახლა კი ქუთაისის აეროპორტი ყოველდღიურად იღებს და გზავნის 800-ზე მეტ კაცს. მათ განკარგულებაშია თანამედროვე კომფორტული ლაინერები ტუ-104, ტუ-124, რომლებიც მიემართებიან მოსკოვში. დონის როსტოვში, დონეცკში...

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ათასობით დამსვენებელი ჩამოდის ქუთაისის აეროპორტში, როცა სამკურნალოდ მიემგზავრება სრულიად საკავშირო კურორტ წყალტუბოში. დიდია აეროპორტის მნიშვნელობა, როგორც კვანძისა, რომელიც აერთებს მთელ რიგ მთის რაიონებს: მესტიის, ცაგერის, ამბროლაურის რაიონებს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ და სამრეწველო ცენტრებთან. ვერტმფრინავებს მთაში მიჰყავთ მგზავრები, მიაქვთ ტვირთი, სამრეწველო საქონელი, კვების პროდუქტები, მედიკამენტები.

ქუთაისის აეროპორტში დიდი შეკავშირებული კოლექტივი მუშაობს, რომლის წევრებსაც უყვართ თავიანთი პროფესია. მათ შორის არიან დიდი სამამულო ომის ყოფილი მონაწილენი ს. ჯამბაზიშვილი, გ. კობეშავიძე, ს. გორდაძე და სხვები.

გთხოვთ გამომიგზავნოთ

„პატივცემულო დირექტორო! გწერთ სადოვსკაია ტაშკენტიდან. ამას წინათ ჩემი მეგობრები კისლოვოდსკში ისვენებდნენ და იქ შეიძინეს საწვიმარი ლაბადები, რომლებსაც თქვენი ფაბრიკის ეტიკეტი აქვთ. ძალიან გთხოვთ გამომიგზავნოთ საწვიმარი. ზომაა 48. წინასწარ გიხდით მადლობას“.

თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ქარხანაში ასეთი წერილი მრავლად მოდის გროზნოდან და პიატიგორსკიდან, კრასნოიარსკიდან და ალმა-ატიდან, ნალჩიკიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან. როგორც წესი, მათი ავტორები მადლობას იხდიან მაღალხარისხოვანი პროდუქციისათვის. საწარმოს ნაკეთობანი მართლაც რომ ჩინებულია. ნაირფერადი ელეგანტური საგზაო, დიასახლისის ჩანთები, ქურთუკები და საწვიმარები. ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია. ფაბრიკაში 40 სახეობის პროდუქციას უშვებენ. მარტო წელს აქ ათთვისეს 8 სახეობის ახალი ნაკეთობანი.

ერთ-ერთი მათგანია ლამაზი და მოსახერხებელი საბავშვო ავეჯი, რომელიც ლითონისა და სინთეზური მასალებისაგან მზადდება. ავეჯში სხვადასხვა ფერის 8 საგანია — პატარა მაგიდა, სავარძლები, სარწეველა, დივანი, ტორშერი. ისინი განკუთვნილია საბავშვო ბაღებისა და პიონერთა ბანაკებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში პირველად ფაბრიკამ საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად შექმნა მეჩაიეთა კოსტუმი. ამ ტანსაცმელს გადაკრული აქვს წყალგაუმტარი აფსკი. კოსტუმების კომპლექტები გამოცადეს ლაითურისა და ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში. კოსტუმები გამოირჩევა კარგი ჰაერგამტარობით, მოხდენილობითა და მოხერხებულობით.

წლის დამლევამდე ფაბრიკა გამოუშვებს მეჩაიეთა კოსტუმების 13,5 ათას კომპლექტს, გაისად კი ეს ციფრი ერთიორად და მეტად გაიზრდება.

როგორც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს აცნობა ფაბრიკის დირექტორმა ა. ჭეიშვილმა, საწარმოს ნაკეთობანი, რომლებიც იგზავნება ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქსა და რაიონში, კარგად საღდება. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 457 ათასი მანეთისაზე მეტი პროდუქცია გაიყიდა. ზეგეგმითმა მოგებამ 30 ათასი მანეთი შეადგინა.

ფაბრიკამ ნახევარი წლის გეგმა ხუთ თვეში შეასრულა. დავალების გადაჭარბებით გამოშვებულია 120 ათასი მანეთის პროდუქცია, რომლის თვითღირებულება 8 პროცენტით შემცირდა. ფაბრიკის კოლექტივმა რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგების მიხედვით 1966 წლის პირველ კვარტალში გამარჯვებულის წოდება მოიპოვა.

1970 წლისათვის საწარმოს სიმძლავრე ერთიორად გაიზრდება. ამასთან დაკავშირებით აქ უკვე დაიწყო ფაბრიკის უახლესი ტექნიკით აღჭურვა. ამოქმედდა სამვალიანი კალანდრი. ამის შედეგად ერთიორად გაიზარდა საფსკვ მასალების წარმოება, გაუმჯობესდა მათი ხარისხი. მიმდინარეობს აგრეთვე ახალი კორპუსის მშენებლობა.

საწარმოს კოლექტივი გაცხოველებით ემზადება დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასასვლელად. ახლა აქ ამუშავებენ ტექნიკურ-ეკონომიურ და ფინანსურ მაჩვენებლებს, საზღვრავენ ყველა სახეობის მუშაობის ტექნიკურ ნორმატივებს. ახალი მეთოდით მუშაობას მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში დაიწყებენ.

ბიოლოგები იხსნიან...

ჭარმოიდგინეთ ციტრუსების ნარგავები, რომელთა ნაყოფი და ფოთლები მუქი ნაფიფქით არის დაფარული, ეს იმას ნიშნავს, რომ მცენარეები სახიფათოდ არიან დაავადებული — ისინი დააზიანა ციტრუსის ფრთათეთრამ.

ამ მწერების გავრცელების რაიონია შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები. ჩვენს ბაღებში კი ისინი ამას წინათ გამოჩნდნენ — ორმოცდაათიან წლებში. მათ წინააღმდეგ ქიმიური ბრძოლა მაინცდამაინც არ წარმოებდა და ციტრუსის ფრთათეთრაც მომრავლდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ფრთათეთრას კუსებური მატლები ათანაბებით მოედო ციტრუსოვანთა ფოთლებს და მათ წვენს წოვდა. მწერების ტკბილ ჯამონაყოფზე სახლდებოდა „შავი სოკოები“, რომლებიც მუქი ნაფიფქით ფარავდნენ ფოთლებსა და ნაყოფს, რაც მნიშვნელოვნად აუარესებდა მათს ხარისხს. ამ მიზეზით ციტრუსების ბაღებს მეტად დიდი საფრთხე შეექმნათ.

და აი აქ დახსნარებად მოვიდნენ მეცნიერები. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელმა **სოფიო ისარალიშვილმა** ფრთათეთრას ბუნების შესწავლისას საოცარი ფაქტი აღმოაჩინა. თურმე ფრთათეთრა სრულიად არაა საშინლად შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ციტრუსოვანთა ბაღებისათვის. ეს იმიტომ, რომ იმ ქვეყნებში არსებობს ფრთათეთრას ბუნებრივი მტერი სოკო ამერსონია, რომელიც აფერხებს მავნებლის მასობრივ გამრავლებას. მეცნიერთა დაცვის ინსტიტუტში შეიმუშავეს ამერსონის ხელოვნური ჯამრავლების მეთოდიკა. ჩვენს ბაღებში ამ სასარგებლო სოკოებმა წარმატებით შეასრულეს თავისი დანიშნულება. თრთათეთრას რაოდენობა ბაღებში მეტად შემცირდა. ციტრუსოვანთა ნარგავები გადარჩა.

ბიოლოგიური სამუალებანი ყველაზე ეფექტიანი გამოდგა მეორე მავნებლის — ფიჭვის დიდი ლაფნიჭამიას წინააღმდეგაც, რომელიც ბორჯომის ხეობის ტყეებში გაჩნდა. ლაფნიჭამიას ჰიაყელისმაგვარი მატლები მერქნით იკვებებიან და მასში უამრავ გასასვლელებს აკეთებენ. ამის შედეგად ფიჭვი ძირში ხმება. ამასთანავე შიშვლდება ტყის მთელი რიგი უბნები.

ეს ამცირებს ბორჯომის წყლის დებიტს. უნდა ითქვას, რომ ლაფნიჭამიასა ყოლია ბუნებრივი მტერი — მტაცებელი ხოჭო რიზოფაგუსი, რომელიც ჩეხოსლოვაკიასა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკათა ტყეებში ბინადრობს. რიზოფაგუსი მარტო ლაფნიჭამიას მატლებით იკვებება. ამჟამად მტაცებელ ხოჭოებს ხელოვნურად ამრავლებენ ინსტიტუტის ბორჯომის ლაბორატორიაში და შემდეგ ტყეში უშვებენ.

მეცნარეთა დაცვის ინსტიტუტში დიდი მუშაობა წარმოებს სასარგებლო ბიოლოგიურ საშუალებათა გამოსავლენებლად, მყარდება მჭიდრო კონტაქტები მოკავშირე რესპუბლიკებისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მეცნიერებთან.



დღეს სჯულმოყვარენი ვართ

ამღერებული გული

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩატარდა აფხაზეთის მწერალთა მეორე ყრილობა. ყრილობაზე აღინიშნა აფხაზეთში მომუშავე ქართველი მწერლების ნაყოფიერი მუშაობა პირველი ყრილობიდან განვლილი 7 წლის მანძილზე.

ყრილობის ანგარიშში, რომელიც გაზეთმა „საბჭოთა აფხაზეთმა“ გამოაქვეყნა, ნათქვამია, რომ პროზის ჟანრში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს მწერლებმა მოსე გვასალიამ, კლიმენტი გოგავამ, შოთა აკობიამ, ზურაბ ნაყოფიამ, ევგენი აჭუბარდიამ, ალექსანდრე ჯიქიამ, მირიან დგებუაძემ, ახალგაზრდა პროზაიკოსებმა: ვაჟა მაისურაძემ, ნოდარ ხუნდაძემ, სატირიკოსმა იასონ გერსამიამ.

თვალსაჩინო აღმავლობაა პოეზიის დარგშიც. ამის მკაფიო მაგალითად მოყვანილია პოეტების დიმიტრი გიგიბერიას, შოთა აკობიას, მირიან მირნელის, მიხეილ ჩაჩუას, ხუტა გაგუას, ვლადიმერ მისაბიშვილის შემოქმედება.

პოეზიის დარგში გამოჩნდნენ ახალი საინტერესო შემოქმედებითი ძალები. მათ შორის დასახელებულია ოთარ მიქაძე, ჯანო ჯანელიძე, გენო კალანდია, პოეტი ქალი ეთერ ჯღამაძე და სხვები.

ლიტერატურულ კრიტიკის დარგში ნაყოფიერად მუშაობენ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები ოთარ ჭყონლულია და მირიან მირნელი.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ მკითხველებს ვთავაზობთ აფხაზეთში მომუშავე ზოგიერთი ქართველი პოეტის რამდენიმე ნაწარმოებს.

დიმიტრი გიგიბერია

განძი და იმედი

მიირხევიან ქარში რტოები
და მეც რტოსავით ქროლვას
მივნებდი.
ორი რამ შემრჩა მემკვიდრეობით:
მკრეხე განძი და დიდი იმედი.
მჯ რაც მებოძა, მას დავეუფლე,
იგი თვალებში მიდგას სინათლედ.
ვარ ასი ფუთი ვალის მეუფე,
დატვირთულ ხურჯინს ზურგით
მივათრევ.
არ დამიმჩატდეს ვალის ხურჯინი,

სანამ დღეები ეშხით მიდიან.
წყალში ვდგავარ და, ეთიმ გურჯივით,
მახარებს ცეცხლი რომ მიკიდია.
ცისკენ მიიწევს ბოლი ცისფერი,
„კაფე-თესეო“ მიხმობს გუგული,
მზით გარუჯული დამაქვს კისერი,
ყელი — სიმღერით ამობუგული,
ვაშლის რტოსავით მიტომ მივნებდე
ქროლვას და დავგმე დღეები დუნე —
ვიცი, განძსა და ურიცხვ იმედებს
იგი პირსუკუ არ შემიბრუნებს.

მირაჟი

მზესა და მთვარეს ზაფხულ-ზამთარი
ქუბას უძღვნიან ოდით მგოსნები.
სავსეა უამი უზარმაზარი
დღისა და ღამის კრიალოსნებით,
სავსეა დროის უძირო ჭისა
თეთრით და შავით,
შავით და თეთრით
და მძივი ღამის და მძივი დღისა
უხასრულობის დინებას ერთვის.
დღეს გაუმარჯოს, მაგრამ ეს ღამე
ყორნისფრთიანი, ღმერთმა
დალახვროს,

უჩენს სიავეს, უკრობს სიამეს
ადამიანის სულის სალაროს.
თუ კაცის ბედი მწუხრმა დანისლა
ჩალად იქცევა მისი დიდებაც,
მიეტმასნება მრუმე ღამისა,
დილის ნათელი განერიდება.
თურმე ერთ წიგნში ასე სწერია:
ნუ მოტუუვდებით ფერთა ხილვაში,
ამ ქვეყნად მხოლოდ ორი ფერია
და ცისარტყელა არის მირაჟი.

სიმღერა

უფცარ ღელვას და შეშფოთებას
შეჩრჩათ აპრილის ულორტის სინედლე.
ოცნების ტოტზე ვკინძავ ფოთლებად
სიყმაწვილეში შობილ იმედებს.
ზოგი ფოთოლი თრთის და კანკალებს,
სულ მალე, იქნებ, ტოტსაც მოწყდება.
ვით პირველ თოვლზე ჩიტის ნაკვალევს
ნამქერს წაყარის ჭარი ოცნებას.
კიდევ ცოტა და ხე ზეთისხილის
კვლავ საალერსოდ ხელს გამომიწვდის.

ამ მწარე ღელვას, ამ ლამაზ ტკივილს
ღიმილი ქვია ცისა და მიწის.
მე მინდა ხვედრის ამგვარ ცვლილებას
ერთხელ ისეთი ძეგლი ავუგო,
დედამიწაზე ჩვენს დაწყვილებას
არ ჭონდეს მცირე სავარაუდო.
უეცარ ღელვას და შეშფოთებას
შერჩათ აპრილის ულორტის სინედლე.
ოცნების ტოტზე ვკინძავ ფოთლებად
სიყმაწვილეში შობილ იმედებს.

მთაწმინდის ალიონი

მთაწმინდაზე რა გააჩენს ნაპრალს,
ძმობ ალიონს და მამლების ყივილს,
თუმცა სურვილს სალტესავით აკრავს
კალთასავსე შემოდგომის თრთვილი.

სიბრძნის ხვითომ წარიტაცა ღამით
მომზდველი ელვარება გიშრის,
დგას დუმილის მოსაწყენი ჟამი
და აპრილის ულორტთან მისვლას
გიშლის

გეზმანება ჩაფრენილი ნამგალს
გლეხი, როგორ ეჯიბრება ჭარბუქს,

მოგისწრია გარდახახვა ჰანგად
და ვინ მოგთხოვს წლოვანების
საბუთს.

უკმარობის წუურვილი გწვავს
მაინც
გენატრება ოფლისღვრა და გარჯა.
ესაზღვრები პოეტსა და რაინდს
და იგონებთ წინანდალს და განჯას.

მთაწმინდაზე რა გააჩენს ნაპრალს,
ეგებება ალიონის ყივილს,
ლოცვასავით აწვართული მაღლა
თქვენი თვალით გადმოპყურებს
თბილისს.

მიხეილ ჩაჩუა

ოცი წლის წინათ მიღებულ წერილს

ომმა შებოლა ჩვენი ბავშვობა.
ადრე დაუსვა დიდი წერტილი.
ადრე დაგვშორდა
გულდაწყვეტილი.
და ნაადრევად დაბოხებულ ხმით
და ნაადრევად ამბოხებულნი
გავეცით დიდი ცხოვრების გზაზე.
და... შევნატროდით მაისის ფერებს
ადრე წასული ბავშვობის მერე.
ორმოცდაორის ზამთარში, გვახსოვს,
იმედის შუქზე ვითბობდით ხელებს.
...სად არის ჩვენი თვრამეტი წელი,
ნალდაკრულ ჩექმის სად გდია ლანჩა?..
არ შეშრობია ჯერ კიდევ ცრემლი
დედას, რომელიც უშვილოდ დარჩა,
და მოლოდინი ისევ გრძელდება,
ვით ნაღვლიანი სიმღერა ძველი...

კვლავ კითხულობენ ჩვენი დედები
ოცი წლის წინათ მიღებულ წერილს.

* * *

თითქოს ათასი ნაკადი მერთვის
და ზღვადცეული ბობოქრობს გული
(იცოდე მაინც, მაღალო ღმერთო,
რა შემიძლია, რა სიყვარული).
და ავდიდდები ერთხელაც ისე,
გადაგევლებით ზემოდან, მთებო.
მანამდე — თქვენი ხორცი და სისხლი —
ისევ თქვენ უნდა მკვებოთ და მკვებოთ.
მანამდე ამ მზით,
მანამდე ამ ცით,
ათასი ხმით და ათასი ფერით
უნდა ავივსო, ვითარცა თასი,
მე — საწყაული აღუვსებელი.

გზისპირას ვდგავარ

გზისპირას ვდგავარ და ვაკვირდები
გამვლელ-გამომვლელს,
უცნობს თუ ნაცნობს
და სიყვარულით ჩურჩულებს გული:
შენ გაგიმარჯოს, კეთილო კაცო!
და ყველაფერი ისე კარგია,
ისე ტკბილია, როგორც ზღაპარი...
და ვდგავარ, როგორც სახლი კართან,
ვით საიმედო თავშესაფარი.

* * *

როგორც ფუტკარი,
როგორც მერცხალი
სკასა და ბუდეს თავზე ვევლები...
აი, ცხოვრება თურმე ეს არი —
ვერ გავიარე სვენებ-სვენებით.

ვერ ავისრულე ნატვრა ურიცხვი,
მომკლავს წყურვილი დაუოკები,
ან ერთი წვეთი თაფლის გულისთვის
მეც ფუტკარივით გზაში მოვკვდები.

* * *

რას ვიფიქრებდი... ჯერ კიდევ გუშინ
მე თვით ვიყავი ჩემი ბატონი...
დედოფალივით დაბრძანდი გულში
და სამუდამოდ დაეპატრონე.
და ახლა, ასე მგონია, ვდგავარ
ჩემივე გულის მიუვალ კართან.
ამ გულს გავედრებ, —
უმისოდ რა ვარ, —
გადაეფარე მზრუნველი კალთა.

ვლადიმერ მისაბიშვილი

ფრონტელ მეგობარს

ვალერიან მესხის ხსოვნას

არც გაღიმება, არც გაოცება,
არც სიხარული, არც სამდურავი...
სამშობლო იყო შენი ოცნება,
მას შეეწირე, გახდი მდუმარი.
დაგნათის ზეცა წმინდა და ლურჯი...
აინთე ცოცხალ თვალების მზერა,
გაიხალისე სიცოცხლე ურჩი,
დასცინე სიკვდილს და ბედისწერას.
ადე, როგორ სძლევ მზის უნახველი,
დამარცხებულნი მტრები არიან.

ადე, გაგვიჭრე მძიმე ნაღველი,
— თქვენი წუხილი, — სთქვი, — სიზმარია
არ მოგენატრენ ტოლები განა?
ხომ გაგვიმართავ საუბარს, გელით.
ირგვლივ ალვები თავდახრილი დგანან,
მკერდზე გეცემა მეგობრის ცრემლი...
არც გაღიმება, არც გაოცება,
ჩუმი ხარ როგორც უცხო სტუმარი.
სამშობლო იყო შენი ოცნება,
მას შეეწირე, გახდი მდუმარი.



რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი

„ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი

მეთორმეტე საუკუნე ყველაზე სახელოვანი ეპოქაა ძველი საქართველოს ისტორიაში. ქართული სახელმწიფოს გონიერმა მეთაურმა, ბრწყინვალე მხედართმთავარმა დავით აღმაშენებელმა შესძლო ჩვენი ქვეყნის ერთ ძლიერ სახელმწიფოდ შეკავშირება. დავითის დაწყებული საქმე მისმა მემკვიდრეებმა განაგრძეს. ძლიერების მწვერვალს საქართველომ თამარის ეპოქაში მიაღწია. ამიტომ არის, რომ ხალხმა მე-12 საუკუნეს „ოქროს ხანა“ შეარქვა, მაშინ მცირე აზიაში მხოლოდ ორი ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფო არსებობდა: ძველი რომის მემკვიდრე ბიზანტიის სახელმწიფო და ჩვენი ქვეყანა. მაგრამ ამ დროს ველური ტომებით გარშემორტყმული ბიზანტია ძალზე დასუსტებული იყო და ხშირ შემთხვევაში თვითონ ითხოვდა დახმარებას. ძლიერი ქართული სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა თანდათან იზრდებოდა მთელს ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ ქართველი პოლიტიკოსები ძალზე შორს იყურებოდნენ და მხოლოდ ბრძოლასა და დაპყრობით ომებზე არ ეჩერათ თვალი. სამხედრო ძლიერების მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის მეთაურები არაჩვეულებრივ შემწყნარებლობას იჩენდნენ სხვა ეროვნების მიმართაც. შუა საუკუნეებში ეს იშვიათი შემთხვევა იყო. მაგალითად საქართველოს დედაქალაქ თბილისში ქართველებთან ერთად თავისუფლად ცხოვრობდნენ მრავალი ეროვნების წარმომადგენლები, ქრისტიანული ეკლესიების გვერდით თბილისში იყო მაჰმადიანური სამლოცველოები და ა .შ. ხალისით მოდიოდნენ ჩვენს ქვეყანაში სტუმრები სხვადასხვა ქვეყნებიდან, გაცხოველებული იყო ვაჭრობა და კულტურული ურთიერთობები. ასეთი კავშირების მეოხებით საქართველო ადვილად ითვისებდა ახალსა და მოწინავეს, რაც კი მაშინდელ მსოფლიოში არსებობდა.

ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ძლიერებამ დიდი კულტურული აღორძინება გამოიწვია. დაწინაურდა ხელოვნების თითქმის ყველა დარგი. მაგალითად, არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები, ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, რომლებითაც მოფენილია ჩვენი ქვეყანა, მეტწილად ამ ხანებში შეიქმნა. საკმარისია მათი უბრალო ჩამოთვლაც კი, რომ წარმოიდგინოთ მაშინდელი მშენებლობის გრანდიოზული მასშტაბები. აღორძინდა ფრესკული მხატვრობა. შეიქმნა ჰედური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები. ყველგან და ყველაფერში იგრძნობა, რომ ქრისტიანული რელიგიის ჩარჩოები ვეღარ აკავებს თავისუფალი აზრის მძლავრ შემოტევას.

სრულიად ახალ სიმაღლეებს დაეუფლა ქართული მწერლობა, ფილოსოფია და მეცნიერება. ქართული ფილოსოფიის, მწერლობისა და პოეზიის წარმომადგენლები სვამდნენ ისეთ საკითხებს, რომლებიც სამაგალითო იყო მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი.

სამწუხაროდ, ამ ეპოქის მონაპოვართაგან ბევრი რამ იავარჰყო შემდეგი დროის ჟამთა სიავემ, მაგრამ გადარჩენილი ძეგლებიც საკმაოდ ნათელჰყოფენ ამ აზრის სისწორეს. ჩვენამდე მოაღწია გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების ექვთიმე და გიორგი ათონელების, არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრიწის თხზულებებმა. ამ დროს დაიწერა შავთელისა და ჩახრუხაძის შესანიშნავი სახოტბო ოდები, რომლებშიც შექებულია ძლიერი ქართული სახელმწიფო და მათი მეთაურები. ბრძოლაში შეუდრეკელი მოყმე-რაინდის ფანტასტიკური სამგმირო საქმეები აღწერა „ამირან-დარეჯანიანის“ ავტორმა მოსე ხონელმა. ქართველი მკითხველი გაეცნო ანტიკურ მწერლობას, აღმოსავლური პოეზიის ნიმუშებს. სარგის თმოგველმა ბრწყინვალე ქართულით თარგმნა სპარსული პოემა „ვისრამიანი“. სწორედ ამ ხანებში დაიწერა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, რომელმაც დაააგვირგვინა ჩვენი მწერლობის ბრწყინვალე ეპოქა.

მსოფლიოში იშვიათია წიგნი, რომელსაც თავისი ხალხის ისეთი სიყვარული ჰრგებოდეს, როგორც „ვეფხისტყაოსანს“. ქართველმა ხალხმა შოთა რუსთაველი პოეზიის მამამთავრად აღიარა და უკვდავი შარავანდედით შემოსა მისი სახელი.

მიუხედავად ასეთი დიდი სიყვარულისა, ჩვენ შედარებით ცოტა რამ ვიცით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ცხოვრებაზე. რუსთაველმა ამ შემთხვევაშიც გაიზიარა სხვა ხალხების გენიოსთა ბედი, ახლაც გრძელდება საბერძნეთში საუკუნეთა წიაღიდან მომდინარე დავა „ილიადასა“ და „ოდისეის“ ავტორზე. ასევე ლეგენდებითა და გადმოცემებით მოაღწია ჩვენ დრომდე გენიალური ფირდოუსის, სპარსული ნაციონალური ეპოსის „შაჰ-ნამეს“ ავტორის სახელმა. ასეთი მაგალითები მრავალზე მრავალია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში და რუსთაველი ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ არის.

ამის მიზეზი პირველ რიგში თვით ჩვენი ისტორიული ცხოვრების უკუღმართობაში უნდა ვეძიოთ. საუკუნეთა მანძილზე მტრებით გარშემორტყმული საქართველო უთანასწორო ბრძოლას ეწეოდა. ცეცხლმა და მახვილმა გაანადგურა, უჩინოდ აქცია ძველი დროიდან მომდინარე ძვირფასი ძეგლები. განსაკუთრებული სიყვარული რომ არა, ალბათ „ვეფხისტყაოსანსაც“ იგივე ბედი ელოდა, როგორც მის ჩანს თვით „ვეფხისტყაოსანში“. პოემის შესავალში რამდენიმე ადგილას ავტორი თამარზე, როგორც თანამედროვეზე ისე საუბრობს. ამასთან ავტორი გადაკვრით მიგვანიშნებს, რომ პოემაში თუმცა აღწერილია შორეული ქვეყნების ამბები, მაინც აქ საქართველო იგულისხმება. „ვეფხისტყაოსნის“ პირველ თავებშივე, მაგალითად, აღწერილია ისეთი ამბები, რომლებიც დამახასიათებელია მე-12 საუკუნის საქართველოსათვის. შუა საუკუნეების მსოფლიოში უჩვეულო ფაქტი იყო ქალის გამეფება. განსაკუთრებით აღმოსავლეთში, სადაც მაჰმადიანურმა სარწმუნოებამ ქალს ყოველგვარი პრივილეგიები წაართვა. საქართველოში ამ საკითხს ძველთაგანვე სხვაგვარად უყურებდნენ და ქალის გამეფებაში არაფერს უჩვეულოს არ ხედავდნენ. თამარის გამეფებაც ამ შეხედულების დადასტურება იყო. „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია“—ამბობს რუსთაველი და ზუსტად ისევე აღწერს თინათინის გამეფების ამბებს, როგორც ეს ჩვენში თამარის მაგალითზე მოხდა. თამარის მამის, გიორგი III მსგავსად, არაბთა მეფეს როსტევანს არ ჰყავდა ვაჟი და თავისი ქალი თინათინი დასვა სამეფო ტახტზე.

„ვეფხისტყაოსნიდანვე“ არის შესაძლებელი მისი დაწერის თარიღების დაზუსტებაც. თამართან ერთად აქ შექებულია მისი მეუღლე დავით სოსლანი, რომელიც გარდაიცვალა 1207 წელს. რადგან ამ ეპოქის მეორე თხზულება „თამარიანი“ დაიწერა 1205 წლისათვის და იგი ჯერ კიდევ არ იცნობს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს, რუსთველოლოგები ფიქრობენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მისმა ავტორმა დაამთავრა სწორედ 1205-1207 წლებში.

საიდან ვიცით, რომ პოემის ავტორია შოთა რუსთაველი? პირველ რიგში აქაც „ვეფხისტყაოსანი“ უნდა მოვიშველიოთ. შესავალშივე რამდენჯერმე არის აღნიშნული, რომ მეფე თამარის სადიდებლად „ვეფხისტყაოსანი“ გალექსა რუსთაველმა (ძველი ფორმაა რუსთველი და არა რუსთაველი როგორც ეს შემდეგში გავრცელდა ჩვენში). პოემის ავტორად რუსთაველი დასახელებულია პოემის გაგრძელებათა იმ ნაწილებში, რომლებიც შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან არც თუ ძალზე მისი დროის სხვა თხზულებებს.

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერის დროიდან ჩვენამდე თუმცა მოაღწია რამდენიმე მატიანემ, მაგრამ მათში ჩვენ ვერ ვპოულობთ რუსთაველზე, როგორც პოეტზე, რაიმე ცნობას. მემატიანეები უფრო მეფეთა ცხოვრებით და სახელმწიფოს ოფიციალური ამბებით იყვნენ დაინტერესებულნი.

რუსთაველის სახელის მიჩქმალვაში უეჭველად გარკვეული როლი ითამაშა ეკლესიის მოღვაწეთა რეაქციულმა ფრთამ. რეაქციონერები ვერ ეგუებოდნენ „ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემულ თავისუფალ აზრებს და, კერძოდ, იმას, რომ პოემაში არცერთხელ არ იყო ნახსენები რელიგიის მიერ დაკანონებული ცნებები. ეკლესია ხელს უშლიდა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობას, კრძალავდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა გავრცელებას, მაგალითად, არის ცნობა, რომ წყალში გადაჰყარეს პოემის პირველი გამოცემის თითქმის მთელი ტირაჟი.

მაგრამ ყველა ამ განსაცდელს გადაურჩა „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი, რადგან უძლეველი იყო სიყვარულის ძალა ხალხისა, რომელსაც რუსთაველის პოემა მიაჩნდა ჰირისა და ლხინის უპირველეს მეგობრად, სიბრძნის დაუშრეტელ წყაროდ.

შოთა რუსთაველი სახელოვანი ქართველი მეფის თამარის დროის მოღვაწეა. პირველ რიგში ეს ჩანს თვით „ვეფხისტყაოსანში“. პოემის შესავალში რამდენიმე ადგილას ავტორი თამარზე, როგორც თანამედროვეზე ისე საუბრობს. ამასთან ავტორი გადაკვრით მიგვანიშნებს, რომ პოემაში თუმცა აღწერილია შორეული ქვეყნების ამბები, მაინც აქ საქართველო იგულისხმება. „ვეფხისტყაოსნის“ პირველ თავებშივე, მაგალითად, აღწერილია ისეთი ამბები, რომლებიც დამახასიათებელია მე-12 საუკუნის საქართველოსათვის. შუა საუკუნეების მსოფლიოში უჩვეულო ფაქტი იყო ქალის გამეფება. განსაკუთრებით აღმოსავლეთში, სადაც მაჰმადიანურმა სარწმუნოებამ ქალს ყოველგვარი პრივილეგიები წაართვა. საქართველოში ამ საკითხს ძველთაგანვე სხვაგვარად უყურებდნენ და ქალის გამეფებაში არაფერს უჩვეულოს არ ხედავდნენ. თამარის გამეფებაც ამ შეხედულების დადასტურება იყო. „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია“—ამბობს რუსთაველი და ზუსტად ისევე აღწერს თინათინის გამეფების ამბებს, როგორც ეს ჩვენში თამარის მაგალითზე მოხდა. თამარის მამის, გიორგი III მსგავსად, არაბთა მეფეს როსტევანს არ ჰყავდა ვაჟი და თავისი ქალი თინათინი დასვა სამეფო ტახტზე.

„ვეფხისტყაოსნიდანვე“ არის შესაძლებელი მისი დაწერის თარიღების დაზუსტებაც. თამართან ერთად აქ შექებულია მისი მეუღლე დავით სოსლანი, რომელიც გარდაიცვალა 1207 წელს. რადგან ამ ეპოქის მეორე თხზულება „თამარიანი“ დაიწერა 1205 წლისათვის და იგი ჯერ კიდევ არ იცნობს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს, რუსთველოლოგები ფიქრობენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მისმა ავტორმა დაამთავრა სწორედ 1205-1207 წლებში.

საიდან ვიცით, რომ პოემის ავტორია შოთა რუსთაველი? პირველ რიგში აქაც „ვეფხისტყაოსანი“ უნდა მოვიშველიოთ. შესავალშივე რამდენჯერმე არის აღნიშნული, რომ მეფე თამარის სადიდებლად „ვეფხისტყაოსანი“ გალექსა რუსთაველმა (ძველი ფორმაა რუსთველი და არა რუსთაველი როგორც ეს შემდეგში გავრცელდა ჩვენში). პოემის ავტორად რუსთაველი დასახელებულია პოემის გაგრძელებათა იმ ნაწილებში, რომლებიც შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან არც თუ ძალზე

დაშორებულ ხანაში. გვარი (თუ ზედწოდება) რუსთაველი წარმომდგარი უნდა იყოს რომელიმე ციხე-სიმაგრის ან დასახლებული პუნქტის რუსთავის სახელწოდებიდან. შუა საუკუნეებში ასე იქმნებოდა ახალი ფეოდალური გვარები. როგორც, მაგალითად, თმოგველი — ციხე თმოგვის პატრონობიდან. ჯაყელი—ციხე ჯაყიდან, სურამელი, ფანასკერტელი, თორელი და ა. შ.

დღეს არ არის ზუსტად გარკვეული, თუ რომელი რუსთავის მკვიდრი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, რადგან იმ დროს საქართველოში რამდენიმე ასეთი პუნქტი არსებობდა (მაგალითად, თბილისთან ახლო მდებარე ციხე-ქალაქი რუსთავი, დღეს ინდუსტრიალური ქალაქი და მესხეთის რუსთავი, ასპინძის მახლობლად). ამ საკითხზე ჩვენს მეცნიერებაში არსებობს განსხვავებული ჰიპოთეზები, მაგრამ მათ ჩვენ შემდეგ შევეხებით.

„ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის გაცნობა გვარწმუნებს, რომ მისი ავტორი სამეფო კართან დაახლოებული, რომელიღაც დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელი უნდა იყოს, იგი არაჩვეულებრივი სიზუსტითა და ცოდნით აღწერს სამეფო კარის ცხოვრებას, აქ გაბატონებულ წესებს და ზნე-ჩვეულებებს. ეს მოსაზრება დაადასტურა შორეულ პალესტინაში არსებულ იერუსალიმის ჯვარის მონასტერში მოპოვებულმა მასალებმა.

ირკვევა, რომ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის გამშვენიერება-განახლების საქმეში მონაწილეობა მიუღია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორსაც, მან, თავისი საფასით, მოახატვინა ეკლესიის გუმბათი. როგორც ჩანს ამ ღვაწლის გამო იგი შეუტანიათ მონასტრის მატიანეში და სხვა მოღვაწეებთან ერთად მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე დაუხატავთ მისი პორტრეტი. თუ „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩვენ უკვე ვიცით პოეტის გვარი — რუსთაველი, აქ რუსთველობასთან ერთად დასახელებულია მისი სახელიც — შოთა; აქედანვე გვიგებთ, რომ შოთას საქართველოს სამეფო კარზე სჭერია ვეზირის მაღალი თანამდებობა — მეჭურჭლეთუხუცესობა, რაც დღევანდელი გაგებით უდრის ფინანსთა მინისტრის თანამდებობას. ამ დროს თამარის კარზე სულ ოთხი ვეზირის თანამდებობა არსებობდა (მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი) და გასაგებია, თუ რამდენად იყო დაწინაურებული შოთა საქართველოს სამეფო კარზე.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის აღზრდაზე ჩვენ არ მოგვეპოვება კონკრეტული ცნობები. მაგრამ პოემაში გამოვლენილი ღრმა ცოდნა თავისთავად არკვევს მისი განათლების ხასიათს. როგორც ჩანს, იგი შესანიშნავად ფლობდა აღმოსავლურ ენებს (არაბული, სპარსული), იცნობდა ამ ენებზე არსებულ უმდიდრეს პოეზიას, იცნობდა ბერძნულს და ამ გზით გაცნობილი იყო ანტიკურ მწერლობასა და ფილოსოფიას.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოში რამდენიმე რუსთავი არსებობს. რომელი რუსთავიდან იყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი?

ერთ-ერთი პირველი რუსთველოლოგი თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელიც მოღვაწეობდა გასული საუკუნის პირველ ნახევარში, ფიქრობდა, რომ შოთამ რუსთაველობა მიიღო თბილისთან ახლოს მდებარე ციხე-ქალაქის პატრონობის გამო. მაგრამ ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი ამის დამადასტურებელი საბუთები. თამარის დროს რუსთავს სხვა გვარის მფლობელები ჰყოლია. მაგალითად, 1190-იან წლებში რუსთავი მიუბოძებიათ საქართველოს ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელისათვის. თეიმურაზზე ადრეული მწერლების ცნობით კი შოთა მესხეთიდან ყოფილა და მისი გვარი რუსთაველიც იქაური რუსთავიდან მომდინარეობს. ამ გაგრძელებებში, რომელიც დაურთავთ „ვეფხისტყაოსანზე“, შოთა მესხეთის მკვიდრად იგულისხმება. მე-17 საუკუნის პოეტი არჩილიც შოთაზე ამასვე აღნიშნავს. თვით სახელი შოთაც ძალზე გავრცელებულია საქართველოს ამ კუთხეში. თუ გავიხსენებთ, რომ შოთას მეჭურჭლეთუხუცესობა მიუღია თამარის კარზე, ესეც მხარს უჭერს ასეთ შეხედულებას. თამარის დროს და შემდეგაც მეტწილად მესხ დიდებულებს ნიშნავდნენ ამ თანამდებობაზე. აღსანიშნავია ისიც. რომ მესხეთი ამ ხანებში ძალზე დაწინაურებული მხარე ჩანს და თამარის დროის ბევრი სახელოვანი სწორედ მესხეთიდან არის გამოსული. დასასრულ, ამასვე უჭერს მხარს ხალხის დიდებული ტრადიცია—ყველა თქმულება ერთხმად აღიარებს, რომ შოთა მესხეთიდან ყოფილა და შემდეგ დაწინაურებულა თამარის კარზე.

ახლა ორიოდე სიტყვით რომ შევაჯამოთ ზემოთქმული, მივიღებთ შემდეგ სურათს:

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი დაბადებულა დაახლოებით 1162—1166 წლებში, რადგან იგი თამარის უფროსი თანამედროვე ჩანს (თამარის დაბადებაც ასევე დაახლოებითაა ცნობილი 1168—1172 წწ.). იგი წარმოშობით მესხეთიდან ყოფილა. სწავლა-აღზრდა მას აქვე—საქართველოში მიუღია (ზოგი გადმოცემით, იგი ერთ დროს სწავლობდა კახეთში, იყალთოს აკადემიაში), ხოლო შემდეგ თითქოს იგი საბერძნეთში სრულყოფს თავის ცოდნას (მართლაც, დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს ბევრი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა საბერძნეთში). განათლებული და სარაინდო საქმეებში განსწავლული შოთა დაწინაურებულა თამარის კარზე. აქვე დაუწერია მას თამარის ქება და სხვა თხზულებები, ხოლო 1205—1207 წლისათვის დაუსრულებია „ვეფხისტყაოსანი“. თამარის კარზე იგი მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეებში და, როგორც ჩანს, მონაწილეობდა იმ ბრძოლებშიც, რომლებიც თამარმა გადაიხადა საქართველოს მტრების წინააღმდეგ (ასევე ახასიათებენ პოეტს შემდეგი საუკუნის მწერლებიც, მაგალითად, არჩილი და სხვ.) მოხუცებული პოეტი თამარის გარდაცვალების შემდეგ, დაახლოებით მე-13 საუკუნის 20-იან წლებში გამგზავრებულა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში. ზოგი გადმოცემით, იგი იქვე გარდაცვლილა.

რუსთაველსა და მის პოემაზე შეიქმნა მრავალზე მრავალი თქმულება, ხალხის ფანტაზიამ შეავსო ისტორიულ ცნობათა სიმცირე და შარავანდედით შემოსა მგოსანთა-მგოსნის პიროვნება.

სარგის ცაიშვილი.







შოთას პოემის ეს ილუსტრაციები მხატვარ ირაკლი თოიძეს ეკუთვნის.

ხელნაწერთა საგანძური

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში

მწერლის ხელი ჭრება, მისი დაწერილი კი რჩება, ასე ამბობდნენ ძველად. V-XIX საუკუნეების ათასამდე წიგნი და ოცდაათი ათასამდე დოკუმენტი, უცნობ მოღვაწეთა მიერ გადაწერილი, ინახება ახლა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. გარდა ამისა, ინსტიტუტის ფონდებში რუსული, სომხური, ბერძნული, თურქული და სხვა წიგნების სამი ათასზე მეტი ხელნაწერია... ისინი დაწერილია ეტრატსა და ქაღალდზე, ზოგჯერ პაპირუსზეც. მათ წერდნენ ლერწმის, ბატის ფრთის და, ბოლოს, ფოლადის კალმით.

ხელნაწერთა ინსტიტუტი შეიქმნა 1958 წელს. ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდებს საფუძვლად დაედო ის კოლექციები, რომელთა შეგროვება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იწყეს ზოგადად მოღვაწეებმა და მუზეუმებმა.

ინსტიტუტში ხელნაწერები ზოგჯერ უცნაური გზით მოხვდება ხოლმე. მაგალითად, ინსტიტუტის თანამშრომელმა აკაკი კლიმიაშვილმა სოფელ კიცხში სახლის სხვენზე იპოვნა ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ძეგლის „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნუსხა. ისტორიულ ნაწარმოებთა ეს კრებული გადაწერილია 1967 წელს აღმოსავლეთ საქართველოში, იპოვნეს კი დასავლეთში, იმერეთში. იქნებ ხელნაწერი იმიტომ მოხვდა იქ, რომ მტრის შემოსევისაგან გადაერჩინათ, ან იქნებ ისი აღმოსავლელი პატარძლის მზითევში შედიოდა.

აი კიდევ ერთი აღმოჩენა. IX-X საუკუნის ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურის ძეგლის, მსოფლიოში ცნობილი „ბალავარიანის“ გალექსილი ეგზემპლარი აღმოჩენილ იქნა ხის ფუღუროში რაიონულ ცენტრ ონის ახლოს.

ქართული ხელნაწერები საქართველოს ფარგლებს გარეთაც იყო. ათონისა და სინას მონასტრებში, აგრეთვე იერუსალიმში ნაპოვნი ხელნაწერები ეკუთვნოდათ ქართულ სამწიგნობრო კერებს, რომლებიც შუა საუკუნეებში ფილოსოფიური განათლების ცენტრებად ითვლებოდნენ. ქართული ხელნაწერები მოიპოვება ბრიტანეთის მუზეუმში, პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ვატიკანის არქივებში.

ქართული წიგნების მხატვრული გაფორმება ჩამოყალიბდა IX საუკუნისათვის. საეკლესიო ლიტერატურის ისეთი ძეგლები, როგორიც არის X საუკუნის „ჯრუჭის ოთხთავი“ და XII საუკუნის „ჯრუჭის მეორე ოთხთავი“, მდიდრულად არის გაფორმებული. XII საუკუნის ტექსტში იშვიათი სილამაზისა და ნაზი ელფერის საღებავებით შესრულებული 334 მინიატიურა, მრავალი თავსამკაული და საზედაო ასოა.

კოლექციის ყველაზე ძველი ქმნილებაა V საუკუნის ორიგინალური ნაწარმოები „წამებაი წმიდისა შუშანიკისი“, შეთხზული იაკობ ცურტაველის მიერ. იგი შემოგვინახა X-XI საუკუნეებში გადაწერილმა ხელნაწერმა კრებულმა, ეგრეთწოდებულმა „მრავალთავმა“. X საუკუნის კრებულებში შემონახულია ადრინდელი ფეოდალური ეპოქის ორიგინალური ძეგლები — „ცხორება აბო ტფილელისა“, „მარტვილობა ევსტათი მცხეთელისა“ და სხვ.

X საუკუნეში მიჰაელ მოდრეკილის მიერ შედგენილ საგალობელთა კრებულში, დიდი ფორმატის ეტრატის 554 გვერდზე გადაწერილია IX-X საუკუნეების ჰიმნები. ზოგიერთი ჰიმნის სტრიქონებს უზის სანოტო ნიშნები, ე. წ. ნევმები, რომლებიც განსხვავდება სხვა ხალხთა მუსიკალური ნიშნებისაგან. ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობისათვის დამახასიათებელია ნიშნების მცირე რაოდენობა, ზოგიერთ ასპექტში იგი დღემდე გამოცანად რჩება.

ინსტიტუტის კოლექციებში ბევრი სამეცნიერო ნაშრომის ხელნაწერიც არის დაცული. 1188 წლის „ასტრონომიული ტრაქტატი“ ერთ-ერთი უძველესი ნუსხაა. ამ ტრაქტატში დიდი რეალიზმითა და გრაფიკული ხელოვნებით გამოსახულია ზოდიაქოს ნიშნები.

ახლა ინსტიტუტში პროფესორ ილია აბულაძის ხელმძღვანელობით შრომობს ორმოცზე მეტი მეცნიერი თანამშრომელი: საქართველოს ისტორიის მკვლევარები, ლიტერატურის ისტორიკოსები, ლინგვისტები.

გამოქვეყნებულია ქართული ხელნაწერების აღწერილობათა თოთხმეტი ტომი. მთლიანად დამთავრებულია სომხური, აზერბაიჯანული და სპარსული კოლექციების შესწავლა, გრძელდება მუშაობა არაბულ ხელნაწერთა აღწერაზე. გამოცემულია ძველი ქართული ორიგინალური ლიტერატურის ძეგლები და თარგმნილი ლიტერატურის დიდმნიშვნელოვანი ნაწარმოებები.

მეცნიერები ინტენსიურად შეუდგნენ პალიმფსესტების შესწავლას. ეს არის მწერლობის ძეგლები, უფრო ეტრატზე ნაწერი, რომელზეც წაშლილია პირვანდელი ტექსტი და დაწერილია ახალი. მეცნიერებისათვის უფრო საინტერესოა სწორედ წაშლილი ტექსტი. ზოგიერთი უკვე წაკითხული პალიმფსესტი V-XIII საუკუნეებით თარიღდება.

ინსტიტუტის მდიდარი ფონდების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს თვალი გავადევნოთ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას უძველესი დროიდან.

ივეტა გუაჩიძე.



მთათუშეთში, „ბეღვის ხიდზე“.

ქართული კულტურის დღეები უნგრეთში

აგვისტოში უნგრელი მაყურებლები ნახავენ ქართულ ბალეტებს „ოტელოს“ და „გორდას“. ეს ბალეტები შეტანილია პროგრამაში ფესტივალისა „სეგედის საზაფხულო თეატრალური ასპარეზობა“.

სეგედი უნგრეთის ერთ-ერთი კულტურული და სამრეწველო ცენტრია. ამ უძველეს ქალაქში ტრადიციად ქცეულა ფესტივალი ევროპის მთელი რიგი ქვეყნების თეატრალური კოლექტივების მონაწილეობით. სპექტაკლები გაიმართება ღია ცის ქვეშ; თითოეულ მათგანს ერთდროულად შეიძლება დაესწროს შვიდი ათასი მაყურებელი. ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად უნგრეთს გაემგზავრება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის ასი მსახიობი. დასის ხელმძღვანელია ღვინო, ნური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ვ. ჭაბუკიანი.

ამას წინათ უნგრეთიდან დაბრუნდა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს კადრებისა და სასწავლებლების განყოფილების უფროსი რ. ვახტანგოვი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მხატვარი ი. ასკურავა. „საშშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში რ. ვახტანგოვმა აღნიშნა ის დიდი ინტერესი, რომელსაც უნგრეთის მცხოვრებლები იჩენენ ქართული ბალეტის მომავალი გასტროლებისადმი. ადგილობრივი გაზეთები ბეჭდავენ მასალებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მოცეკვავეთა, სახელგანთქმული ბალეტმაისტერის ვ. ჭაბუკიანის, კომპოზიტორების ა. მაჭავარიანისა და დ. თორაძის შესახებ.

ფესტივალზე უნგრელი მსმენელები, მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები და უამრავი ტურისტი მოისმენენ გუნოს ოპერა „ფაუსტს“ ლა-სკალას მსახიობთა მონაწილეობით, კოდაის ოპერა „ჰარი იანოშს“, ნახავენ მადაჩის დრამას „ადამიანურ ტრაგედიას“, 14 და 20 აგვისტოს ნაჩვენები იქნება ა. მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“, ხოლო 16 და 19 აგვისტოს — დ. თორაძის ბალეტი „გორდა“.

„სეგედის საზაფხულო თეატრალური ასპარეზობა“ ემთხვევა ქართული კულტურის დღეს უნგრეთში. ბუდაპეშტში გაიხსნება ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს სახალხო მხატვრის, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ლ. გუდიაშვილის, მხატვრების ე. ბაღდავაძის, ნ. იაქობაშვილისა და სხვების ნაწარმოებები, აგრეთვე გრაფიკა და ჭედური ხელოვნება. უნგრეთის დედაქალაქში ეწყობა აგრეთვე ქართველ მწერალთა წიგნების გამოფენები და ფოტოგამოფენა, რომელიც ასახავს საქართველოს ცხოვრებას, კულტურას, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას. ქართული კულტურის დღეებში ბუდაპეშტში ნაჩვენები იქნება სტუდია „ქართული ფილმის“ დოკუმენტური კინოლენტები „თბილისი“, „საბჭოთა საქართველო“, „ანაკოპიის მღვიმე“, „მსოფლიო ტაშს უკრავს“, აგრეთვე მ. ჩაბუხიძის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქორწილი“.

18 აგვისტოს ბუდაპეშტში გაიმართება დიდი საღამო. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სახელმწიფო დასი, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“, რომელშიც შედიან რ. ბარძიმაშვილი, ზ. იაშვილი, ტ. დავითაია, ზ. ფანჩვიძე და ვოკალური დუეტი — ზ. ხოსიტაშვილი და მ. ხმალაძე.

უნგრეთში მიემგზავრებიან რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე ა. დვალიშვილი, „სსრ კავშირ-უნგრეთის“ საზოგადოების საქართველოს განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი შ. ძიძიგური, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ჭ. სიხარულიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. საყვარელიძე და სსრ კავშირ-უნგრეთის საზოგადოების საქართველოს განყოფილების მდივანი მ. ჭელიძე.

არქეოლოგთა სესია

მუშაობა დაამთავრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესიამ, რომელიც 1965 წლის საველე არქეოლოგიური კვლევის შედეგებს მიეძღვნა.

სესია გახსნა ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის გამგემ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. აფაქიძემ.

სესიაზე წაიკითხეს მოხსენებანი, რომელნიც მიეძღვნა ქუთაისის, ფოთის, ბიჭვინთის, მცხეთის, მარნეულის, დმანისის, სვანეთისა და სხვა არქეოლოგიურ გათხრებს. ამ გათხრების დროს ნაპოვნია არქეოლოგიური ძეგლები და დიდძალი ნივთები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ძველი საქართველოს მოსახლეთა ყოფა-ცხოვრების ახლებურად გაშუქებას. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ალ. კალანდაძემ თავისი გამოსვლა მიუძღვნა მცხეთის 1965 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგებს. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. აფაქიძემ ილაპარაკა ბიჭვინთის არქეოლოგიური გათხრების შესახებ. მოხსენება „უფლისციხის ძირითადი მშენებლობის არქიტექტურა“ გააკეთა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგემ თ. ქარუმიძემ.

სპეციალური სხდომა მიეძღვნა ძველი წელთაღრიცხვის XV-IV საუკუნეების საინტერესო არქეოლოგიური კომპლექსის კვლევას კასპის რაიონის სოფელ ხოვლეს მახლობლად, სადაც მთელი რიგი წლების განმავლობაში მუშაობდა სამეცნიერო ექსპედიცია აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით.

ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო ურთიერთობანი

სასარგებლო ვიზიტები

რადიაციის საკითხებისადმი მიძღვნილ III საერთაშორისო კონგრესის (რომი) მუშაობაში მონაწილეობდნენ რადიაციული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ე. ნანობაშვილი და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი და ბირთვული ფიზიკის განყოფილების გამგე, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი თ. ცეცხლაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას მტკიცე ურთიერთობა აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბევრ სამეცნიერო ორგანიზაციასთან, — თქვა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში აკადემიის უცხოეთის განყოფილების უფროსმა დ. გურგენიძემ. საზღვარგარეთის ქვეყნებში სხვადასხვა საერთაშორისო კონგრესში, სიმპოზიუმში, კონფერენციაში მონაწილეობისათვის, კონკრეტული თემების შემუშავებაში, ტექნიკური დახმარების გაწევისა და კონსულტაციისათვის მიემგზავრება ბევრი ქართველი მეცნიერი.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მსუბუქი ბირთვების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაში მონაწილეობდნენ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი რ. ჯიბუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. მამასახლისოვი, ფიზიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი მ. მაჭარაძე, დელის, ბომბეის, კალკუტის, მადრასის უნივერსიტეტებში მყარი სხეულების ბირთვული მაგნიტური რეზონანსების საკითხებზე ლექციები წაიკითხა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა გ. ხუციშვილმა. მანვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნულ სამეცნიერო-საკვლევ ცენტრში კონსულტაციები მოაწყო თეორიული ფიზიკის დარგში კვლევის საკითხებზე.

ბელგიიდან ახლახან დაბრუნდა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლ. გაბუნია. იგი იქ გაეცნო ბუნებისმეტყველების ისტორიის სამეფო მუზეუმის გამოუქვეყნებელ მასალებსა და პალეონტოლოგი დარვინისტის ლუი დოლოს პირად არქივს. ევროპის ატომური კვლევის ცენტრში, შვეიცარიაში, მუშაობას განაგრძობს ფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური სხივების ფიზიკის განყოფილების გამგე გ. ჩიქოვანი.

ჩვენს რესპუბლიკაში ხშირად ჩამოდიან საზღვარგარეთელი მეცნიერები. აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებანი მათ ყოველნაირად ეხმარებიან ერთობლივ სამეცნიერო კვლევაში, ქართველ მეცნიერთა მიღწევების გაცნობაში. წელს ჩვენს რესპუბლიკას უკვე ეწვია საფრანგეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის, იაპონიის, ინგლისის, ნორვეგიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ლიბიის, კანადისა და სხვა ქვეყნების 55-ზე მეტი დელეგაცია.

სიგვერე დამარცხდება?..

ამას წინათ ვენაში მუშაობა დაამთავრა გერონტოლოგთა და გერიატრთა VII საერთაშორისო კონგრესმა, რომელმაც განიხილა გერონტოლოგიისა და გერიატრიის — ხანდაზმული ასაკის ადამიანთა მკურნალობის პრობლემები. კონგრესში მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამი ათასზე მეტი მეცნიერი.

კონგრესზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი იყო 15 მეცნიერი, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. ჟორდანიას სახელობის ქალის ფიზიოლოგიის და პათოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გერონტოლოგიის სოციალურ-ჰიგიენური ლაბორატორიის ხელმძღვანელი პროფესორი გ. ფიცხელაური და აფხაზეთის მთავარი თერაპევტი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გ. სიჭინავა.

ჩვენი კორესპონდენტის თხოვნით პროფესორმა გ. ფიცხელაურმა ილაპარაკა კონგრესზე მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ.

— კონგრესზე წარმოდგენილი ათასზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, თქვა მან, მიეძღვნა დღეგრძელობისა და ნადორეც სიბერესთან ბრძოლის მეცნიერების აქტუალურ საკითხებს. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ პროცესების კვლევამ, რომლებიც ორგანიზმში წარმოიქმნებიან მოლეკულურ და სუბმოლეკულურ დონეზე. ეს კვლევა წარმოებდა უახლესი ტექნიკური საშუალებებით.

კონგრესის მონაწილეებმა დიდი შეფასება მისცეს საბჭოთა გერონტოლოგებისა და გერიატრების ნაშრომებს. დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების დ. ჩებოტარიოვისა და ნ. გორელვის, პროფესორების ნ. მანკოვსკის, ვ. ფროლკისის, ი. ვიტეს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის გ. სიჭინავასა და სხვათა მოხსენებებმა. ჩვენს მოხსენებებში ნათქვამი იყო, რომ დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ჰავა ყველაზე შესაფერისი გამოდგა სასიცოცხლო ფუნქციების ხანგრძლივი შენარჩუნებისათვის. გამოკვლეულ ხანდაზმულთა 99 პროცენტი ცოლიანია. მოხუცებულთა ნახევარზე მეტი თავს კარგად გრძნობს და არასოდეს არ ყოფილა ავად. მათს დღეგრძელობაში დიდ როლს ასრულებს მემკვიდრეობითობა.

ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ავსტრიელ მეცნიერთა — კონგრესის პრეზიდენტის ვ. დოვერაუერის, პროფესორების ო. არნოლდის, დ. კრაუზის, ე. ფიდლერის მოხსენებებმა.

კონგრესის მონაწილენი ეწვივნენ ავსტრიის ბევრ ქალაქს, სადაც გაეცნენ გერიატრიულ სამსახურს. ავსტრიის მთავრობა ზრუნავს ხანდაზმულთათვის. მაგალითად, ყოველი ქალაქის მუნიციპალიტეტი მოხუცებულებისათვის გამოჰყოფს მშენებარე სახლების ოც პროცენტამდე საცხოვრებელ ფართობს.

მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასია დღეგრძელთა კერაა და საბჭოთა მეცნიერებს ცოტა მიღწევა როდი აქვთ გერონტოლოგიისა და გერიატრიის დარგში, ავსტრიელი კოლეგების გამოცდილება ხანდაზმულთათვის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების მოწყობაში შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი სტუმრები

იტალიელის თვალით

თბილისში ორ დღეს იყო ცნობილი იტალიელი კინოს ისტორიკოსი და თეორეტიკოსი, მრავალტომიანი „თეატრალური ენციკლოპედიის“ პასუხისმგებელი რედაქტორი, ვენეციის კინოფესტივალის ჟიურისთან არსებული საექსპერტო კომისიის წევრი შრანჩესკო სავიო.

საქართველოს დედაქალაქი მეორე საბჭოთა ქალაქია, რომელსაც სინიორ სავიო გაეცნო. იგი ჩვენს ქვეყანაში სტუმრად იყო საზოგადოება „სსრ კავშირი-იტალიის“ მოწვევით. მოსკოვში ფ. სავიო გაეცნო საბჭოთა კინორეჟისორების ათობით ფილმს.

ფრანჩესკო სავიომ ჩვენს კორესპონდენტს უამბო, თუ რას ისახავს მიზნად მისი მოგზაურობა საბჭოთა კავშირში, კერძოდ, საქართველოში.

— უფრო ზუსტად რომ მოგახსენოთ, მაქვს ორი მიზანი: პირველი — როგორც ვენეციის ფესტივალის ჟიურისთან არსებული საექსპერტო კომისიის წევრმა მინდა ვნახო ახალი ფილმები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კინოსტუდიებმა გამოუშვეს 1965 წლის კინოფესტივალის შემდეგ. სწორედ ამ სურათებს შორის შეიძლება შეირჩეს ფილმები საკონკურსოდ და კონკურსგარეშე საჩვენებლად ყოველწლიურ ფესტივალზე, რომელიც აგვისტოში გაიმართება ვენეციაში. მეორე მიზანი უშუალოდ დაკავშირებულია საქართველოსთან. მინდა დავწერო სტატია საქართველოსა და მის კინოხელოვნებაზე ჟურნალ „რეალტა სოვიეტიკისათვის“ („საბჭოთა სინამდვილე“), რომელსაც საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირი“ უშვებს. რატომ სწორედ საქართველოს შესახებ? ჩემი აზრით, აქ განსაკუთრებით იგრძნობა ეროვნული ტრადიციები, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. ქართული თანამედროვე ხელოვნებაც ისე ვითარდება, რომ ამ ტრადიციებთან კავშირს არ წყვეტს, საზრდოობს და ძალას იკრებს მათი სიმდიდრით.

მიუხედავად იმისა, რომ ფრანჩესკო სავიო თბილისში ცოტა ხანს იყო, მან მოასწრო გასცნობოდა საქართველოს კულტურასა და ხელოვნებას. მან ნახა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატები, ეწვია კინოსტუდია „ქართულ ფილმს“. სტუდიის დირექტორმა თ. გორდელაძემ სტუმარს გააცნო ეროვნული კინოხელოვნების განვითარება, ახალგაზრდა კინორეჟისორებისა და ოპერატორების ნიჭიერი თაობა. ფრანჩესკო სავიო დაესწრო რეჟისორ ოთარ იოსელიანის ახალი ფილმის „ნაცნობი სახეების“ გადაღებას. იტალიელმა სტუმარმა ნახა კინოსურათები „წარსულის ფურცლები“, „ხევსურული ბალადა“, „ჯარისკაცის მამა“, „თეთრი ქარავანი“, „მებრძოლი და ილარიონი“, „ალავერდობა“ და სხვ.

თბილისიდან ფრანჩესკო სავიო ლენინგრადს გაემგზავრა.

გაისად ისევ ჩამოვალ

ამას წინათ საქართველოში ტურისტთა ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა და აქ რამდენიმე დღე დაჰყო პარიზში მცხოვრებმა ჩვენმა ახალგაზრდა თანამემამულემ ნოელ გუნიამ. აი რა განაცხადა მან წასვლისას ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში:

— ორიოდე დღემ, რომელიც საქართველოში გავატარე, სიზმარივით ჩქარა გაირბინა. გონებაში ჯერ კიდევ არ დალაგებულა შთაბეჭდილებანი, აზრები და სახეები. ვფიქრობ, საფრანგეთში დაბრუნებისას უფრო გამიადვილდება ლაპარაკი მიღებულ შთაბეჭდილებებზე, რის შესახებაც აუცილებლად მოგწერთ. მაინც ორიოდე სიტყვით ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ მეტად აღფრთოვანებული დავრჩი ყველაფრით, რაც ვნახე.

ძალიან მომეწონა თბილისი, მისი უძველესი ძეგლებით. უცხო თვალიც კი ადვილად შეამჩნევს, რომ უკანასკნელ წლებში აქ ბევრი კარგი რამ აშენებულა და გაკეთებულა. ეს ითქმის პირველ ყოვლისა შესანიშნავ სპორტის სასახლეზე, თბილისის ხელოვნურ ზღვაზე, ახალ საცხოვრებელ მასივებზე, პარკებსა და ხეივნებზე. მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე მაინც ქართველმა ხალხმა დასტოვა — ლამაზმა, გულღიამ და სტუმართმოყვარემ. ამ ბოლო ხანში ისე შემიყვარდა ყოველი მათგანი, როგორც ყველაზე ახლობელი ადამიანები.

ვინახულე სოფელი, სადაც მამაჩემი დაიბადა და გაიზარდა. შევხვდი ნათესავებს, მამაჩემის მეგობრებსა და ამხანაგებს. პარიზში დაბრუნებისას მამაჩემი ალბათ სიხარულისაგან იტირებს, როცა ყოველივეს ვუამბობ.

თუმცა ქართული ენის უცოდინარობას ჩემთვის ხელი არ შეუშლია მეგრძნო მშობლიური სითბო და სიყვარული, მაგრამ მაინც უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავისა, რომ იძულებული ვიყავი მესამე პირის საშუალებით გადამეცა ჩემი აღფრთოვანება ყველაზე უფრო ახლობელი ადამიანებისათვის. გადავწყვიტე მომავალ წელს კერძო ვიზიტით ჩამოვიდე ჩემს ნათესავებთან უფრო დიდი ხნით. მანამდე შევეცდები კარგად შევისწავლო ქართული ენა და წერა-კითხვა. იმედი მაქვს ამ საქმეში თქვენი საზოგადოებაც გამიწევს ხელმძღვანელობასა და დახმარებას.



მშობლიური გუნების წიაღში

კარგა ხანია ასეთი ცხელი ზაფხული არ ყოფილა საქართველოში, როგორც წელს. სწორედ ამიტომაც განსაკუთრებული ხალხმრავლობაა ჩვენს კურორტებზე. კურორტები და დასასვენებელი ადგილები კი საქართველოში უამრავია. დამსვენებელთა საყვარელი ადგილია რიწის ტბა და მისი მიდამოები. მაღალი მთები, საუცხოო ფიჭვნარი ტყე, გრილი და კამკამა ტბა, დიდებული ჰაერი — მეტს რას ინატრებდა ადამიანი ზაფხულის ამ ცხელ დღეებში?! ეს სურათიც ამ დღეებში გადაიღო გაზეთ „სამშობლოს ხმის“ ფოტოკორესპონდენტმა რიწის ტბაზე.

იაპონელი მთამსვლელები საქართველოში

ერთი თვით ჩამოვიდნენ საქართველოში იაპონელი ალპინისტები. ეს მათი სპასუხო ვიზიტია. ადრე ქართველი ხთამსვლელები მიიწვიეს იაპონელებმა. იოკოჰამის ქართველ და იაპონელ ალპინისტთა მეგობრობის ახლადჩამოყალიბებული კლუბი უწვევდა ქართველ სპორტსმენებს მასპინძლობას. ათმა ქართველმა მთამსვლელმა იაპონელ სპორტსმენებთან ერთად დალაშქრა ამომავალი მზის ქვეყნის ერთ-ერთი და ულამაზესი მწვერვალი ფუძიამა.

და აი ახლა იაპონელები საქართველოში არიან. ამჟამად იაპონელები სვანეთის ალპურ ბანაკ „აილამაში“ იმყოფებიან და ქართველ მეგობრებთან ერთად ცენტრალური კავკასიონის მწვერვალებს უტევენ, მანამდე კი...

ისინი ათნი არიან. თბილისში სამ დღეს დარჩნენ. დაათვალიერეს ქალაქი და მისი შემოგარენი, იყვნენ მცხეთაში, საგურამოში, შემდეგ კი უაზბეგს წავიდნენ და მყინვარწვერზე ავიდნენ ქართველ ალპინისტებთან ერთად.

დელეგაციის ხელმძღვანელმა კინსაკუ ხასიმოტომ გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ჩვენ ყველას მადლობის მეტი არა გვეთქმის რა, საქართველოში ჩვენი ყოფნის გეგმა ისეა შედგენილი, რომ ამაზე ოცნებაც კი არ შეგვეძლო. აღფრთოვანებული ვართ და კმაყოფილნი. მეგობრობა, რომელიც ქართველ და იაპონელ ალპინისტებს შორის ჩაისახა თქვენი წარმომადგენლების იაპონიაში ყოფნის დროს, კიდევ უფრო განმტკიცდა და გაღრმავდა აქ, თქვენს სამშობლოში.

დელეგაციის მწვრთნელმა-ინსტრუქტორმა აკიო კოიდემ შემდეგი გვიამბო ყაზბეგიდან დაბრუნებისას:

— მყინვარწვერი ძნელი როდია სასვლელად, მაგრამ მაღალია, ჩვენში, იაპონიაში არ არის ასეთი სიმაღლის მთები და ცოტა გაგვიჭირდა კიდეც, მაგრამ მივეჩვიეთ. მითუმეტეს, რომ გვერდით იყვნენ ქართველი მთამსვლელები, რომელთა ოსტატობაში ჩვენ დარწმუნებული ვიყავით. მათზე ლეგენდები გაგვიგონია და ვნახეთ ისინი საქმეში ფუძიამაზე. მყინვარწვერზე და ვნახავთ ცენტრალურ კავკასიონზე. მათთან სიარული მთაში მხარდამხარ სიმტკიცის გრძნობას იწვევს, იმიტომ რომ, ისინი ძლიერნი და მხიარულნი არიან. მათმა გულღიობამ და უშუალობამ მოგვხიბლა.

როდესაც მყინვარწვერზე ავედით, ჩვენს თვალწინ შესანიშნავი, დაუვიწყარი სანახაობა გადაიშალა. მადლობა ქართველ ალპინისტებს, რომლებმაც ეს გრძნობა განგვაცდევინეს. ჩვენ ვამაყობთ, რომ პირველნი ვართ იაპონელთა შორის, რომლებსაც პატივი გვხვდა დაგვეპყრო მყინვარწვერი. მოუთმენლად ველით ცენტრალური კავკასიონის ურთულეს მწვერვალებზე ძალის გამოცდას.

როგორც ზემოთ ვთქვით, ახლა იაპონელი მთამსვლელები სვანეთში, ლენტეხის ალპურ ბანაკ „აილამაში“ არიან. ინტენსიურად ვარჯიშობენ ჩვენი სტუმრები; ემზადებიან ცენტრალური კავკასიონის მწვერვალებზე სალაშქროდ.

ო. ლორთქიფანიძე.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

მოუსმინეთ საქართველოს

სარედაქციო კოლეგია

კვირა მისამართი:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.